ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ15.15211401**

თარიღი:**20/05/2021**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის

შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 122-ე მუხლის, ამავე კანონის 123-ე მუხლისა და საქართველოს კანონის “საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შინაგანაწესი თანდართული დანართის მიხედვით.

2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს აპარატის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2007 წლის 5 მარტის N13 ბრძანება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სულიკო თებიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი